

შპს ლენდმარკ ჯორჯია
ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს ლენდმარკ ჯორჯია

შინაარსი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3გ3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4გ3
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	5გ3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6გ3
განმარტებითი შენიშვნები	7-29გ3

შპს ლენდმარკ ჯორჯია

31/12/2024

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნები	2024	2023
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	629,134	670,045
არმატერიული აქტივები	6	105,104	118,575
სულ გრძელვადიანი აქტივები		734,238	788,620
მოკლევადიანი აქტივები			
3 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	137,557	268,867
წინასწარ გადახდილი ხარჯები		-	-
5 სასაქონლო-მატერიული მარაგი	8	552,966	702,598
7 საგადასახადო აქტივი	9	1,037	52,694
2 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	10	32,577	1,265,816
სულ მოკლევადიანი აქტივები		724,138	2,289,975
სულ აქტივები		1,458,376	3,078,595
გადასახდელი ვალდებულებები			
9 კაპიტალი	11	4,531,323	4,531,323
გაუნაწილებელი მოგება	11	(1,619,595)	(656,549)
მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალი	11	(1,553,096)	(963,046)
სულ კაპიტალი		1,358,632	2,911,728
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
8 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	68,805	161,937
6 საგადასახადო ვალდებულებები	13	30,939	4,930
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		99,744	166,867
სულ ვალდებულებები		99,744	166,867
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,458,376	3,078,595

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი:

მოჰანად აღსამიერ



ფინანსური დირექტორი:

თამარ ყაჯრიშვილი

შპს ლენდმარკ ჯორჯია

31/12/2024

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	Notes	2024	2023
შემოსავალი გაყიდვებიდან	14	2,514,125	2,578,179
სხვა საოპერაციო შემოსავალი			152
საქონლის თვითღირებულება	15	(1,382,937)	(1,388,240)
საერთო მოგება		1,131,188	1,190,090
გაყიდვების ხარჯები	16	(66,831)	(39,464)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(1,342,652)	(1,099,191)
ხელფასი და სხვა სარგებელი	18	(1,011,994)	(798,361)
საოპერაციო ხარჯები		(2,421,477)	(1,937,016)
საოპერაციო მოგება		(1,290,289)	(746,926)
ცვეთა და ამორტიზაცია		(222,591)	(176,455)
საკურსო სხვაობა	19	(30,858)	(79,442)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი	20	(9,359)	39,777
სულ არასაოპერაციო ხარჯები		(262,807)	(216,120)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადამდე		(1,553,096)	(963,046)
წმინდა მოგება/(ზარალი)		(1,553,096)	(963,046)

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი:

მოჰანად აღსამიერ



ფინანსური დირექტორი:

თამარ ყაჯრიშვილი

შპს ლენდმარკ ჯორჯია

31/12/2024

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	განთავსებული კაპიტალი	გაუნაწილები ლი მოგება
ნაშთი 31 დეკემბერი 2018 წლისთვის	-	-
შემოსავალი წლის განმავლობაში	-	(11,464)
კაპიტალის ზრდა	39,947	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2019 წლისთვის	39,947	(11,464)
შემოსავალი წლის განმავლობაში	-	(191,886)
კაპიტალის ზრდა	676,180	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2020 წლისთვის	716,127	(203,351)
შემოსავალი წლის განმავლობაში	-	(170,172)
კაპიტალის ზრდა	1,114,879	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2021 წლისთვის	1,831,005	(373,522)
შემოსავალი წლის განმავლობაში	-	(283,027)
კაპიტალის ზრდა	500,519	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2022 წლისთვის	2,331,525	(656,549)
შემოსავალი წლის განმავლობაში	-	(963,046)
კაპიტალის ზრდა	2,199,798	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2023 წლისთვის	4,531,323	(1,619,595)
შემოსავალი წლის განმავლობაში	-	(1,553,096)
კაპიტალის ზრდა	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2024 წლისთვის	4,531,323	(3,172,691)

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი:

მოჰანად აღსამიერ



ფინანსური დირექტორი:

თამარ ყაჯრიშვილი


შპს ლენდმარკ ჯორჯია

31/12/2024

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2,024	2023
მოგება გადასახდამდე	(1,553,096)	(963,046)
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	222,591	176,455
სავალუტო კურსის ცვლილებებით განპირობებული წმინდა შემოსულობა/ ხარჯი	30,858	79,442
საპროცენტო ხარჯი	-	-
საპროცენტო შემოსავალი	4,802	-
საოპერაციო ფულადი სახსრები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე	(1,294,846)	(707,149)
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	149,631	(51,535)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	141,981	(42,092)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(112,059)	79,048
ცვლილებები საგადასახდო ქტივებში	51,657	(46,103)
ცვლილებები საგადასახდო ვალდებულებებში	26,009	(80,631)
ცვლილებები გადახდილ ავანსებში	-	806
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში	257,219	(140,508)
		-
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(1,037,626)	(847,656)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(181,680)	(539,149)
არამატერიალური აქტივების შეძენა	13,471	(62,097)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(168,209)	(601,245)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხები	-	-
კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	2,199,798
გადახდილი დივიდენდი	-	-
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	-	2,199,798
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულსა და ფულის ექვივალენტებზე	(27,404)	(50,293)
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების ნეტო ზრდა/შემცირება	(1,205,835)	750,896
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	1,265,816	565,213
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	32,577	1,265,816

ხელმძღვანელობის სახელით:



დირექტორი:

მოჰანად აღსამიერ



ფინანსური დირექტორი:

თამარ ყაჯრიშვილი

1. ზოგადი ინფორმაცია

კომპანია და მისი საოპერაციო საქმიანობა

„ლენდმარკ ჯორჯია“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 445553348) არის კერძო კომპანია, რომელიც დაარსდა 2017 წელს, 30 წელზე მეტი ხნის ბიზნეს გამოცდილების მქონე პარტნიორების მიერ. კომპანია საქართველოში 2019 წლის 21 მარტს დარეგისტრირდა. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ბათუმი, შალვა ინასარიძის ქ. N 16 ა.

კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა ტანსაცმლის იმპორტი და საქონლის გაყიდვა კომერციულ ფართებში.

დირექტორი: მოჰანად ალსამიერი (ID N104-23-L015991; N016727533, 01591063433 / სირიის არაბთა რესპუბლიკა)

კომპანიის მფლობელები არიან:

ნატალია ტარი (ID 7116117610) – 10%

მოჰანად ალსამიერი (ID N104-23-L015991; N016727533, 01591063433) – 20%

ხალილ მუჰამედ ა ბინლადინ (ID T339751) – 70%

კომპანია აფართოებს საცალო ვაჭრობას მოდის ბიზნესში ახალ ბაზრებზე. მათი ბიზნესის გაფართოების პირველი ეტაპი საქართველოშია, წამყვანი საერთაშორისო მოდის ბრენდების პორტფელით. „ლენდმარკ ჯორჯია“ ამჟამად თანამშრომლობს პორტუგალიურ მოდის ბრენდთან „Sacoor Brothers-თან“, რომელიც აღიარებულია თავისი ელეგანტური და დახვეწილი სამოსით. კომპანია ასევე თანამშრომლობს იტალიურ ბრენდთან „Piazza Italia“ და გახსნა პორტუგალიური ბრენდის ახალი მაღაზია „Sacoor Blue“.

საანგარიშგებო ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა – ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ტრანზაქციის თარიღის კურსის გამოყენებით. ანგარიშგების თარიღისთვის უცხოური ვალუტის ფულადი ერთეულების ნაშთი აღრიცხულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ყველა სავალუტო სხვაობა, რომელიც წარმოიქმნება ანგარიშსწორებიდან, აღიარებულია მოგებად ან ზარალიად.

უცხოური ვალუტის ფულადი ნაშთებისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი ანგარიშგების თარიღისთვის იყო შემდეგი:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 20243
1 აშშ დოლარი/ლარი	2.8068	2.6894
1 ევრო/ლარი	2.9306	2.9753
10 არაბეთის გაერთიანებული საამიროების დირჰამი/ლარი	7.6417	7.3227

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია უწყვეტი საქმიანობის საფუძველზე და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("IFRS") შესაბამისად, არის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთი ("IASB") მიერ გამოცემული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრისათვის. ეს არ გახლავთ კომპანიის მიერ მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება.

ფინანსური ანგარიშგება შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალის ცვლილებების, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისა და განმარტებითი შენიშვნებისგან. ასევე შეიცავს შესაძარებელ ინფორმაციას წინა წლის (2023 წლის 31 დეკემბრის) მდგომარეობით.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფაქტიური ღირებულების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი სხვაგვარად არის განსაზღვრული ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით.

ფინანსური ინსტრუმენტები

კლასიფიკაციის მიხედვით, ფინანსური ინსტრუმენტები აისახება სამართლიანი ღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით, როგორც აღწერილია ქვემოთ:

სამართლიანი ღირებულება არის ის თანხა, რომლის სანაცვლოდაც შესაძლებელია აქტივის გაცვლა ან ვალდებულების გასწორება ერთმანეთისგან დამოუკიდებელ, ინფორმირებულ და კეთილგანწყობილ მხარეებს შორის, სამართლიან (ბაზრის) პირობებში განხორციელებული გარიგების შედეგად. სამართლიანი ღირებულება ფინანსური აქტივებისთვის წარმოადგენს მიმდინარე ყიდვის ფასს, ხოლო ფინანსური ვალდებულებებისთვის — მიმდინარე გასაყიდ ფასს, იმ შემთხვევაში, თუ ისინი კოტირებულია აქტიურ ბაზარზე. აქტივებისა და ვალდებულებების შემთხვევაში, რომელთაც აქვთ ურთიერთგამომრიცხავი საბაზრო რისკები, კომპანიას შეუძლია სამართლიანი ღირებულების

დასადგენად გამოიყენოს საშუალო საბაზრო ფასები აღნიშნული რისკის პოზიციებისთვის და შემდეგ მიმართოს ყიდვის ან გასაყიდ ფასს ნეტო ღია პოზიციაზე, შესაბამისობის მიხედვით. ფინანსური ინსტრუმენტი მიიჩნევა აქტიურ ბაზარზე კოტირებულად, თუ მისი ფასები ადვილად და რეგულარულად ხელმისაწვდომია ბირჟიდან ან სხვა ინსტიტუტიდან და ეს ფასები ასახავს რეალურ და რეგულარულად არსებულ საბაზრო გარიგებებს ერთმანეთისგან დამოუკიდებელ მხარეებს შორის.

შეფასების ტექნიკა, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელები ან მოდელები, რომლებიც დაფუძნებულია უახლეს ტრანზაქციებზე ან ინვესტიციების მონაწილეთა ფინანსური მონაცემების გათვალისწინებით, გამოიყენება გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულებით შესაფასებლად, რომლებისთვისაც გარე ბაზრის ფასების შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. შეფასების ტექნიკამ შეიძლება მოითხოვოს დაშვებები, რომლებიც არ არის მხარდაჭერილი დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებით. გამჟღავნება ხდება ამ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში, თუ რომელიმე ასეთი დაშვების გონივრულად შესაძლო ალტერნატივაზე შეცვლა გამოიწვევს მნიშვნელოვნად განსხვავებულ მოგებას, შემოსავალს, მთლიან აქტივებს ან მთლიან ვალდებულებებს.

ტრანზაქციის ხარჯები არის დამატებითი ხარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გაცემას ან განკარგვას. დამატებითი ღირებულება არის ის, რომელიც არ იქნებოდა დარიცხული ტრანზაქცია, რომ არ მომხდარიყო. ტრანზაქციის ხარჯები მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის, თანამშრომლებს, რომლებიც მოქმედებენ როგორც გამყიდველები), მრჩველებისთვის, ბროკერებისთვის და დილერებისთვის, მარეგულირებელი სააგენტოებისათვის გადახდილ მოსაკრებელს და საკომისიოს და ფასიანი ქაღალდების ბირჟის გადასახადებს, ტრანსფერის გადასახადებსა და მოსაკრებლებს. ტრანზაქციის ხარჯები არ მოიცავს ვალის პრემიებს ან ფასდაკლებებს, დაფინანსების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან სამფლობელო ხარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იქნა აღიარებული თავდაპირველი აღიარებისას, საწყისი გამოსყიდვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, და ფინანსური აქტივებისთვის გამოკლებული ნებისმიერი გაუფასურების ზარალის ჩამოწერა. დარიცხული პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული ტრანზაქციის ხარჯების და ნებისმიერი პრემიის ან ფასდაკლების ოდენობის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით (მათ შორის იგულისხმება მოსაკრებელი გადადებული წარმოშობისთანავე, ასეთის არსებობის შემთხვევაში), არ არის წარმოდგენილი ცალ-ცალკე და ჩართულია მასთან დაკავშირებული ერთეულების საბალანსო ღირებულებაში, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. ეფექტური საპროცენტო მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის განაწილების მეთოდი შესაბამისი პერიოდის განმავლობაში საბალანსო ღირებულებაზე მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთის (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის) მისაღწევად. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ამცირებს სავარაუდო სამომავლო ნაღდი ფულით გადახდებს ან შემოსავლებს (მომავალი საკრედიტო დანაკარგების გამოკლებით) ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში ან უფრო მოკლე პერიოდის განმავლობაში, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი დისკონტირებს ცვლადი საპროცენტო ინსტრუმენტების ფულად ნაკადებს საპროცენტო გადაფასების მომდევნო თარიღამდე, გარდა პრემიისა ან დისკონტისა, რომელიც ასახავს ინსტრუმენტში გავრცელებულ კრედიტზე მითითებულ მცურავ განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებს, რომლებიც არ არის დაბრუნებული საბაზრო განაკვეთებზე. ასეთი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზებულია ინსტრუმენტის მთელი მოსალოდნელი ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა მოსაკრებელს, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია

კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი მიეკუთვნება სესხებისა და დებიტორული დავალიანების შეფასების კატეგორიას. სესხები და მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ არის კვტირებული აქტიურ ბაზარზე. ისინი ჩართულია მიმდინარე აქტივებში, გარდა ბალანსის თარიღიდან 12 თვეზე მეტი ვადის დაფარვისა. ეს აქტივები კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი აქტივები. კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირებულია როგორც სხვა ფინანსური ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების პირველადი აღიარება

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით, პლუს ტრანზაქციის ხარჯები. სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას საუკეთესოდ დასტურდება ტრანზაქციის ფასით. საწყისი აღიარებით მოგება ან ზარალი აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს განსხვავება სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის, რაც შეიძლება დადასტურდეს იმავე ინსტრუმენტის სხვა მიმდინარე სარწმუნო მონაცემების საბაზრო ოპერაციებით ან შეფასების ტექნიკით, რომლის შენატანები მოიცავს მხოლოდ ბაზრების სარწმუნო მონაცემებს.

ყველა ფინანსური აქტივის ყიდვა და გაყიდვა, რომლის მიწოდებაც რეგულაციით ან საბაზრო პრაქტიკით დადგენილ ვადაში უნდა განხორციელდეს („სტანდარტული წესით“ განხორციელებული ოპერაციები), აღირიცხება ვაჭრობის თარიღზე — იმ თარიღზე, როდესაც კომპანია იღებს ვალდებულებას ფინანსური აქტივის მიწოდებაზე.

ფინანსური აქტივების ყველა სხვა სახის შესყიდვა აღიარებულია იმ მომენტიდან, როდესაც კომპანია ხდება ინსტრუმენტის ხელშეკრულებითი პირობების მონაწილე მხარე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როდესაც:

- (a) აქტივები განთავისუფლებულია (დაფარულია) ან მათზე ფულადი ნაკადების მიღების უფლება სხვა მიზეზით იწურება; ან (b) კომპანია გადასცემს ფინანსური აქტივებიდან გამომდინარე ფულადი

შპს ლენდმარკ ჯორჯია. შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებაზე, ლარში

ნაკადების მიღების უფლებას ან შედის შესაბამის pass-through ოპერაციაში, და ამასთან ერთად: (i) ასევე გადააქვს აქტივის მფლობელობასთან დაკავშირებული რისკებისა და სარგებლის პრაქტიკულად ყველა ნაწილი; ან (ii) არც სრულად გადააქვს და არც ინარჩუნებს აღნიშნულ რისკებსა და სარგებელს, მაგრამ აღარ ინარჩუნებს კონტროლსაც. კონტროლი შენარჩუნებულად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა გაყიდოს აქტივი სრულად, დამოუკიდებელ მესამე მხარეზე, დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ამორტიზებული ღირებულებით განხორციელებული ფინანსური აქტივების გაუფასურება

გაუფასურების ზარალი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, როდესაც წარმოიქმნება ერთი ან მეტი მოვლენის („ზარალის დადგომის შემთხვევა“) შედეგად, რომლებიც მოხდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ და რომლებიც გავლენას ახდენენ თანხაზე ან დროზე. ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების შესახებ, რომლებიც შეიძლება საიმედოდ შეფასდეს. თუ კომპანია დაადგენს, რომ არ არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ გაუფასურება მოხდა ინდივიდუალურად შეფასებულ ფინანსურ აქტივზე, არის თუ არა მნიშვნელოვანი, ის მოიცავს აქტივის ფინანსური აქტივების ჯგუფში მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლებით და ერთობლივად აფასებს მათ გაუფასურებას. ძირითადი ფაქტორები, რომლებსაც კომპანია ითვალისწინებს ფინანსური აქტივის გაუფასურების დადგენისას, არის მისი ვადაგადაცილებული სტატუსი და დაკავშირებული უზრუნველყოფის სანდოობა, ასეთის არსებობის შემთხვევაში. შემდეგი სხვა ძირითადი კრიტერიუმები ასევე გამოიყენება იმის დასადგენად, არის თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მოხდა გაუფასურების ზარალი:

ნებისმიერი ნაწილი ან გადახდა არის ვადაგადაცილებული და დაგვიანებული გადახდა არ შეიძლება მიეკუთვნებოდეს ანგარიშსწორების სისტემებით გამოწვეულ დაგვიანებას; კონტრაგენტი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს, რაც დასტურდება მისი ფინანსური ინფორმაციით, რომელსაც კომპანია მოიპოვებს;

- კონტრაგენტი განიხილავს გაკოტრებას ან ფინანსურ რეორგანიზაციას;

- კონტრაგენტის გადახდის სტატუსში არახელსაყრელი ცვლილებაა ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების ცვლილების გამო, რაც გავლენას ახდენს კონტრაგენტზე; ან

- გირაოს ღირებულება, ასეთის არსებობის შემთხვევაში, საგრძნობლად იკლებს ბაზრის მდგომარეობის გაუარესების გამო.

თუ გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობები, რომლებიც იწახება ამორტიზებული ღირებულებით, ხელახლა შეთანხმებულია ან სხვაგვარად შეიცვლება კონტრაგენტის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურება ფასდება საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით პირობების შეცვლამდე.

გაუფასურების ზარალი ყოველთვის აღიარებულია რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, რათა ჩამოიწეროს აქტივის საბალანსო ღირებულება მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ამჟამინდელ

ღირებულებამდე (რომელიც გამორიცხავს სამომავლო განუხორციელებელ საკრედიტო ზარალს) დისკონტირებული აქტივის ორიგინალური ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების ამჟამინდელი ღირებულების გაანგარიშება ასახავს ფულადი სახსრების ნაკადებს, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას გირაოს მოპოვებისა და გაყიდვის ხარჯების გამოკლებით.

თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურებით ზარალის ოდენობა მცირდება და შემცირება შეიძლება ობიექტურად დაკავშირებული იყოს გაუფასურების აღიარების შემდეგ მომხდარ მოვლენასთან (როგორცაა მოვალის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალი უკუბრუნდება კორექტირებით რეზერვის ანგარიში წლის მოგება-ზარალის მეშვეობით.

შეუგროვებელი აქტივები ჩამოიწერება შესაბამისი გაუფასურების ზარალის რეზერვიდან მას შემდეგ, რაც დასრულდება აქტივის აღდგენის ყველა საჭირო პროცედურა და დადგინდება ზარალის ოდენობა. ადრე ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება ჩაირიცხება გაუფასურების ზარალის ანგარიშზე წლის მოგება-ზარალის ფარგლებში.

ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ექვივალენტები

ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ექვივალენტები გულისხმობს ნაღდ ფულს ხელზე და ფულს ბანკებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამორიცხულია ნაღდი ფულისგან და ნაღდი ფულის ექვივალენტებიდან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ნაშთები, რომლებზეც შეზღუდულია გაცვლა ან გამოიყენება ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების თარიღიდან სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში, შედის სხვა გრძელვადიან აქტივებში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით და გაუფასურების რეზერვის. ღირებულება მოიცავს მშენებლობის ღირებულებას ან შესყიდვის ფასს, იმპორტის გადასახდელებისა და დაუბრუნებელი გადასახადების ჩათვლით, და აქტივის დანიშნულებისამებრ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის პირდაპირ მიკუთვნებულ ხარჯებს. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება და ფასდაკლებები გამოიქვითება მშენებლობის ღირებულების ან შესყიდვის ფასიდან. მცირე რემონტისა და ტექნიკური ხარჯები ირიცხება ხარჯებად. ძირითადი რემონტის ან კომპონენტების ჩანაცვლების ღირებულება კაპიტალიზდება. აღჭურვილობის ყველა ერთეული აღირიცხება თვითღირებულებით გამოკლებული დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის მენეჯმენტი აფასებს, არის თუ არა რაიმე ნიშნები ძირითადი საშუალებების გაუფასურების შესახებ. თუ გაუფასურებულია, შენობა-ნაგებობები და აღჭურვილობა ჩამოიწერება მათი გამოყენების ღირებულებისა და სამართლიანი ღირებულების გაყიდვის ხარჯების

შპს ლენდმარკ ჯორჯია. შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებაზე, ლარში

გამოკლებით. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალში. წინა წლებში აქტივისთვის აღიარებული გაუფასურების ზარალი უკუქცევა, თუ მოხდა ცვლილება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიანი ღირებულების გამოკლებით გასაყიდი დანახარჯების დასადგენად გამოყენებულ შეფასებებში.

რეალიზაციიდან მიღებული მოგება და ზარალი, რომელიც განისაზღვრება შემოსავლების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში.

ამორტიზაცია

მიწას და მშენებარე აქტივებს არ ერიცხება ამორტიზაცია. ძირითადი საშუალებების სხვა ერთეულების ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა გადანაწილდეს მათი ღირებულება მათი სავარაუდო სასარგებლო ვადის განმავლობაში ან მათ ნარჩენ ღირებულებებზე შემდეგნაირად:

ცვეთა და ამორტიზაცია %:

საოფისე ინვენტარი და აღჭურვილობა 20%

ავეჯი 20%

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა 15-20%

ძირითადი საშუალებების ერთეულის აღიარება გაუქმებულია გასხვისებისას ან როდესაც არ არის მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებლი მისი გამოყენებისა და გასხვისებისგან.

ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიქმნება აქტივის აღიარების გაუქმებით (გამოითვლება, როგორც სხვაობა გასხვისებიდან წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) შედის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ წელს, როდესაც ხდება აქტივის აღიარება.

არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომლებსაც აქვთ სასრული სასარგებლო ვადა, ფასდება თვითღირებულებით გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები კაპიტალიზდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ის გაზრდის სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს, რომელიც განლაგებულია კონკრეტულ აქტივში, რომელსაც ის ეხება. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის წარმოქმნილ კომპანიის საქმიან რეპუტაციაზე და ბრენდებზე დანახარჯები, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში როგორც გაწეული ხარჯი.

არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია

ამორტიზაცია გამოითვლება აქტივის ღირებულებით, ან ღირებულებით ჩანაცვლებული სხვა თანხით, გამოკლებული მისი ნარჩენი ღირებულება. ამორტიზაცია აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით არამატერიალური აქტივების, გარდა გუდვილის ან ფრანჩაიზისა სავარაუდო სასარგებლო ვადის განმავლობაში, იმ დღიდან, როდესაც ისინი ხელმისაწვდომია გამოსაყენებლად,

რადგან ეს ყველაზე მჭიდროდ ასახავს მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელ სქემას აქტივებში. სავარაუდო ექსპლუატაციის მიმდინარე და შედარებითი პერიოდებისთვის შემდეგია:

ამორტიზაციის %

არამატერიალური აქტივები 10-15%

ამორტიზაციის მეთოდები, სასარგებლო ვადები და ნარჩენი ღირებულებები განიხილება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და საჭიროების შემთხვევაში კორექტირებულია.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით და შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს შეაგროვოს ყველა კუთვნილი თანხა დებიტორული დავალიანების საწყისი პირობების მიხედვით.

რეზერვის ოდენობა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მომავალი ფულადი სახსრების სავარაუდო ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის, დისკონტირებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშით, ხოლო ზარალის ოდენობა აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. როდესაც სავაჭრო დებიტორული დავალიანება მისაღებია, ის ჩამოიწერება სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების რეზერვის ანგარიშზე. შემდგომ გადახდევინებული ამოღებული თანხები ჩაირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო გადასახდელები არის ვალდებულებები გადაიხადოთ საქონელი ან მომსახურება, რომელიც შეძენილია მიმწოდებლებისგან ჩვეულებრივი საქმიანობისას. გადასახდელი ანგარიშები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდა დასრულებულია ერთი ან ნაკლები წლის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი წარმოდგენილია როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად, კომპანიის ყველა სავაჭრო დავალიანება მოსალოდნელია, რომ გადახდილ იქნას ბალანსის თარიღიდან ერთი წლის განმავლობაში და კლასიფიცირებულია როგორც მიმდინარე.

სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით და შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ხარჯი არის წლის დასაბეგრ შემოსავალზე მოსალოდნელი გადასახადი, ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ან არსებითად ამოქმედებული საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით და წინა წლებში გადასახდელი გადასახადის ნებისმიერი კორექტირება. მიმდინარე გადასახდელი გადასახადი ასევე მოიცავს ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდებიდან.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (ასევე ცნობილი, როგორც კორპორაციული დაბეგვრის ესტონური მოდელი), რომელსაც ძირითადად გადააქვს დაბეგვრის მომენტი დასაბეგრი მოგების მიღების მომენტიდან მათი განაწილების დროისთვის. კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და ამოქმედდა 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საგადასახადო პერიოდებისთვის ყველა სუბიექტისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორიცაა ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომელთათვისაც კანონი ამოქმედდება 2019 წლის 1 იანვრიდან. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილი ბოლო ცვლილებების თანახმად, ფინანსური ინსტიტუტების გადასვლა ახალ საგადასახადო კანონმდებლობაზე 2019 წლის 1 იანვრის ნაცვლად 2023 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება.

კორპორატიული საშემოსავლო დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს კორპორატიული საშემოსავლო გადასახადისგან (CIT) გათავისუფლებას, არამედ გადასახადის გადახდა გადადის მოგების მიღების მომენტიდან მათი განაწილების მომენტზე; ანუ ძირითადი საგადასახადო ობიექტი განაწილებული შემოსავალია. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას როგორც აქციონერებზე დივიდენდის სახით განაწილებულ მოგებას. ამასთან, მოგების გადასახადი მოიცავს ხარჯებს ან სხვა გადახდებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული სუბიექტის ეკონომიკურ საქმიანობასთან, უსასყიდლო მიწოდებასა და ზედმეტ წარმომადგენლობით ხარჯებთან.

გადასახადის ანაზღაურება შესაძლებელია 2008-2016 წლებში გაუნაწილებელ მოგებაზე გადახდილი მიმდინარე გადასახადისთვის, თუ ეს შემოსავალი განაწილებულია 2019 წელს ან შემდგომ წლებში. კორპორატიული საშემოსავლო გადასახადი, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდიდან, აღირიცხება ხარჯად იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად გადახდის თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც ხდება დივიდენდის გადახდა.

მარაგები

სამუშაო პროცესში მყოფი და მზა პროდუქციის თვითღირებულება შედგება ნედლეულის, პირდაპირი შრომის, სხვა პირდაპირი ხარჯებისა და შესაბამისი საწარმოო ზედნაღებისაგან (გამოსახული ნორმალური საწარმოო სიმძლავრის მიხედვით). სავაჭრო საქონელი აღირიცხება შესყიდვის ფასს დამატებული ტრანსპორტირების და სხვა ზედნაღები ხარჯები. წვრილი ინვენტარი ხარჯებში ირიცხება მათი ექსპლუატაციაში შეყვანისთანავე.

შემოსავლების აღიარება

შემოსავალი მოიცავს საქონლისა და მომსახურების რეალიზაციით მიღებული ან მისაღები ანაზღაურების არსებულ საბაზრო ღირებულებას კომპანიის საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას. შემოსავალი ნაჩვენებია დამატებითი ღირებულების გადასახადის, დაბრუნების, ფასდაკლებების შემდეგ.

კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და დაგროვილი მოგება/ზარალისგან.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება მისი წესდებით. საწესდებო კაპიტალში შენატანები შეიძლება განხორციელდეს ფულადი სახსრების ან არაფულადი აქტივების სახით. როდესაც არაფულადი აქტივები შედის კომპანიის კაპიტალში, ასეთი აქტივების ღირებულება განისაზღვრება დამოუკიდებელი, პროფესიონალი, კვალიფიციური შემფასებლების მიერ ჩატარებული შეფასებით და კაპიტალი იზრდება ამ შეფასებისას განსაზღვრული ოდენობით.

სესხის აღების ხარჯები

სესხის აღების ხარჯები, რომლებიც უშუალოდ მიეკუთვნება კვალიფიცირებული აქტივების შეძენას, მშენებლობას ან წარმოებას, რომლებიც არის აქტივები, რომლებსაც აუცილებლად სჭირდებათ მნიშვნელოვანი დრო, რათა მომზადდეს მათი დანიშნულებისამებრ ან გასაყიდად, ემატება ამ აქტივების ღირებულებას, სანამ აქტივები არსებითად მზად არის მათი დანიშნულებისამებრ გამოყენების ან გასაყიდად. ყველა სხვა სესხის დანახარჯები აღიარებულია მოგებაში ან ზარალში მათი წარმოქმნის პერიოდში.

შემოსავლები და ხარჯები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, რაც ნიშნავს, რომ შემოსავლები აღიარებულია როდესაც გამომუშავდება და არა ნაღდი ფულის მიღებისას და ხარჯების აღიარება ხდება რეალურად წარმოქმნისას და არა გადახდისას.

პერსონალის ხარჯები და მასთან დაკავშირებული შენატანები

ანაზღაურებები, ხელფასები, შენატანები საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საპენსიო და სოციალური დაზღვევის ფონდებში, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება და ავადმყოფობის შვებულება, პრემიები და არაფულადი შეღავათები ერიცხება იმ წელს, როდესაც ასოცირებული მომსახურება გაწეულია კომპანიის თანამშრომლების მიერ.

3. მნიშვნელოვანი ბუღალტრული გადაწყვეტილებები, შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტისგან განახორციელოს გადაწყვეტილებები, შეფასებები და დაშვებები, რომლებიც გავლენას ახდენენ შემოსავლების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების მოხსენებულ ოდენობებზე და თანმხლებ ინფორმაციაზე და პირობითი ვალდებულებების გამჟღავნებაზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების შესახებ გაურკვევლობამ შეიძლება გამოიწვიოს შედეგები, რომლებიც მოითხოვენ აქტივის ან ვალდებულების საბალანსო ღირებულების არსებით კორექტირებას მომავალ პერიოდებში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო სიცოცხლე

კომპანიამ გამოიყენა პროფესიული განსჯა ძირითადი საშუალებების სასარგებლო ვადების განსაზღვრისას, სადაც გათვალისწინებული იქნა ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული მოძველება, აქტივების მოსალოდნელი გამოყენება მათი ფიზიკური წარმადობის მიხედვით, ასევე მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც ოპერაციულ ფაქტორებზეა დამოკიდებული.

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები

ჩვეულ საქმიანობაში კომპანია აფორმებს ტრანზაქციებს მასთან დაკავშირებულ მხარეებთან. „ბასს 39“ მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი რეალური ღირებულებების საფუძველზე. განხილვა გამოიყენება იმის დასადგენად, არის თუ არა ტრანზაქციების ფასი საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებში, სადაც არ არის აქტიური ბაზარი ასეთი ტრანზაქციისთვის. განხილვის საფუძველია არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ტრანზაქციების ფასის დადგენა.

4. ახალი ან შესწორებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, გამოცემული „IASB-ის“ მიერ

ახალი და შესწორებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ძალაშია

მიმდინარე წელს კომპანიამ მიიღო ყველა ახალი და შესწორებული სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომელიც გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („IASB“) და საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების კომიტეტის („IFRIC“) მიერ, რომლებიც დაკავშირებულია მის ოპერაციებთან და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. შემდეგი ცვლილებები ძალაში შევიდა 2023 წლის 1 იანვრიდან და შესაძლებელია ქონოდა გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- „ფასს 17“ სადაზღვევო კონტრაქტები;
- ცვლილებები „ბასს 8-ში“ სააღრიცხვო პოლიტიკაში ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები – სააღრიცხვო შეფასებების განმარტება;
- ცვლილებები „ბასს 1-ში“ და „IFRS-ის“ პრაქტიკის ანგარიშგება 2 – სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნება;
- ცვლილებები „ბასს 12-ში“ საშემოსავლო გადასახადები – გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია აქტივებთან და ვალდებულებებთან, წარმოქმნილი ერთი ტრანზაქციის შედეგად;
- ცვლილებები „ბასს 12-ში“ საშემოსავლო გადასახადები – გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაკავშირებულია „მეორე სვეტის“ (Pillar Two) შემოსავლის გადასახადებთან.

არსებული სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ეფექტური და აღრე არ იქნა მიღებული კომპანიის მიერ

ამ ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღისთვის, გარკვეული ახალი სტანდარტები, ცვლილებები და არსებული სტანდარტების ინტერპრეტაციები გამოქვეყნდა „ბასს-ის“ მიერ, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული და არ იქნა მიღებული კომპანიის მიერ აღრეულ ეტაპზე.

მენეჯმენტი ითვალისწინებს, რომ ყველა შესაბამისი განცხადება მიღებული იქნება კომპანიის საადრიცხო პოლიტიკაში პირველი პერიოდისთვის, რომელიც იწყება განცხადების ძალაში შესვლის თარიღიდან ან მის შემდეგ. ხელმძღვანელობა არ ითვალისწინებს არსებით გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე წინამდებარე სტანდარტებიდან და ცვლილებებიდან.

• ცვლილებები „ფასს 16-ში“: იჯარა – იჯარის ვალდებულება გაყიდვაში და გაყიდვა იჯარით მიღების პირობით;

• ცვლილებები „ბასს 1-ში“ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა – ვალდებულებების კლასიფიკაცია, როგორც მიმდინარე ან არამიმდინარე;

• ცვლილებები „ბასს 1-ში“ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა – საკრედიტო პირობებით განსაზღვრული ვალდებულებების კლასიფიკაცია“

• ცვლილებები „ბასს 7-ში“ ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგება და ფასს 7 ფინანსური ინსტრუმენტები – გამჟღავნება: მომწოდებლის ფინანსური ხელშეკრულებები;

ცვლილებები „ფასს 10-სა“ და „ბასს 28-ში“ – ინვესტორსა და მის ასოცირებულ ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვა ან შენატანი.

შპს ლენდმარკ ჯორჯია. შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებაზე, ლარში

N5 ძირითადი საშუალებები

ღირებულება	აღჭურვილობა	ძირითადი საშუალებების სატრანზიტო ანგარიში	სულ:	კომპიუტერული აღჭურვები	დაცვის სისტემები	ოფისის აღჭურვილობა და სხვა	იჯარით აღებული ფართების კეთილმოწყობა	სულ:
ნაშთი 31.12.2021	8,803	-	224,934	29,903	5,964	43,736	136,528	224,934
მიღება	-	213,887	430,793	-	81	2,939	213,887	216,906
გასვლა	-	(213,887)	(213,887)	-	-	-	-	-
კორექტირება	-	-	-	-	-	-	-	-
ნაშთი 31.12.2022	8,803	-	441,841	29,903	6,045	46,675	350,415	441,841
მიღება	-	466,403	485,374	27,961	22,343	9,798	291,654	351,756
გასვლა	-	(291,654)	(291,654)	-	-	-	-	-
კორექტირება	-	-	-	-	-	-	-	-
ნაშთი 31.12.2023	8,803	174,749	968,346	57,864	28,388	56,473	642,069	968,346
მიღება	-		162,678	8,268	4,907	20,482	129,022	162,678
გასვლა	-		-	-	-	-	-	-
კორექტირება/ტრანზიტული ანგარიშის	-	(114,918)		1,016	(28,558)	(20,521)	(66,855)	(114,918)
ნაშთი 31.12.2024			832,554	67,147	4,737	56,434	704,235	832,554
ამორტიზაცია			Total:					Total:
ნაშთი 31.12.2021	-	-	31,859					31,859
ამორტიზაცია	-	-	102,630					102,630
გასვლა	-	-	-					-
ნაშთი 31.12.2022	-	-	134,489					134,489
ამორტიზაცია			163,812					163,812
გასვლა			-					-
ნაშთი 31.12.2023	-	-	298,301					298,301
ამორტიზაცია			203,426	17,951	711	15,059	169,705	203,426
გასვლა			-					-
ნაშთი 31.12.2024	-	-	501,727					501,727
ნაშთი 31.12.2021	8,803	-	193,075					193,075
ნაშთი 31.12.2022	8,803	-	307,352					307,352
ნაშთი 31.12.2023	8,803	174,749	670,045					670,045
ნაშთი 31.12.2024			629,128	49,196	4,027	41,375	534,531	629,129

შპს ლენდმარკ ჯორჯია. შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებაზე, ლარში

N6

არამატერიალური აქტივები

დირექტულება	ლიცენზიები	სულ
ნაშთი 31.12.2019	-	-
დამატება	-	-
გასვლა	-	-
ნაშთი 31.12.2020	-	-
დამატება	836	836
გასვლა	-	-
ნაშთი 31.12.2021	836	836
დამატება	56,478	56,478
გასვლა	-	-
ნაშთი 31.12.2022	57,314	57,314
დამატება	74,740	74,740
გასვლა	-	-
ნაშთი 31.12.2023	132,054	132,054
დამატება	5,700	5,700
გასვლა	-	-
ნაშთი 31.12.2024	137,754	137,754
ამორტიზაცია		
ნაშთი 31.12.2019	-	-
ამორტიზაცია	-	-
ჩამოწერა	-	-
ნაშთი 31.12.2020	-	-
ამორტიზაცია	767	767
ჩამოწერა	-	-
ნაშთი 31.12.2021	767	767
ამორტიზაცია	70	70
ჩამოწერა	-	-
ნაშთი 31.12.2022	836	836
ამორტიზაცია	12,643	12,643
ჩამოწერა	-	-
ნაშთი 31.12.2023	13,479	13,479
ამორტიზაცია	19,171	19,171
ჩამოწერა	-	-
ნაშთი 31.12.2024	32,651	32,651
ნაშთი 31.12.2020	-	-
ნაშთი 31.12.2021	70	70
ნაშთი 31.12.2022	56,478	56,478
ნაშთი 31.12.2023	118,575	118,575
ნაშთი 31.12.2024	105,103	105,103

შპს ლენდმარკ ჯორჯია. შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებაზე, ლარში

N7

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

<u>სავაჭრო და სხვა მოთხოვნები</u>	<u>12/31/2024</u>	<u>12/31/2023</u>
სავაჭრო მოთხოვნები	-	623
ავანსად გადახდილები	130,337	265,491
სხვა მოთხოვნები	7,220	2,753
<u>სავაჭრო და სხვა მოთხოვნები</u>	<u>137,557</u>	<u>268,867</u>

N8

სასაქონლო-მატერიალური მარაგი

<u>სასაქონლო-მატერიალური მარაგი</u>	<u>12/31/2024</u>	<u>12/31/2023</u>
საქონელი	524,505	698,656
სხვა საქონელი	28,462	3,941
<u>სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგი</u>	<u>552,966</u>	<u>702,598</u>

N9

საგადასახადო აქტივები

<u>საგადასახადო აქტივები</u>	<u>12/31/2024</u>	<u>12/31/2023</u>
საგადასახადო ბარათი	-	47,210
გადახდილი დღგ	-	4,886
გადახდილი საპენსიო შენატანი	1,037	599
<u>სულ საგადასახადო აქტივები</u>	<u>1,037</u>	<u>52,695</u>

N10

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

<u>ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები</u>	<u>12/31/2024</u>	<u>12/31/2023</u>
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	4,350	14,484
ფული ეროვნულ ვალუტაში ბანკში	26,277	175,142
ფული უცხოურ ვალუტაში ბანკში	1,950	1,076,190
<u>სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები</u>	<u>32,577</u>	<u>1,265,816</u>

11. კაპიტალი

31.12.2020 წლის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალი შედგება ორი ნაწილისაგან: სააქციო კაპიტალი ნომინალური ღირებულებით 716126 ლარი და გაუნაწილებელი მოგება 203350 ლარი. 2021 წელს კომპანიამ განიცადა დამატებითი წმინდა ზარალი 170,172 ლარის ოდენობით, რომელიც წარმოდგენილია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მიმდინარე პერიოდის (მოგება)/ზარალის სახით. შესაბამისად, კომპანიის გაუნაწილებელმა მოგებამ 373 522 ლარი შეადგინა. 2021 წლის განმავლობაში აქციონერებმა საწესდებო კაპიტალში დამატებით შეიტანეს 1,114,878 ლარის შენატანი და 31.12.2021 წლის საწესდებო კაპიტალი 1,831,005 იყო. პერიოდის ბოლოსთვის კომპანიის კაპიტალის წმინდა ღირებულება 1 457 483 ლარს შეადგენდა. 2022 წელს კომპანიამ განიცადა დამატებითი წმინდა ზარალი 283,027 ლარის ოდენობით, რომელიც წარმოდგენილია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მიმდინარე პერიოდის (მოგება)/ზარალის სახით. შესაბამისად, კომპანიის გაუნაწილებელმა მოგებამ 656 549 ლარი შეადგინა. 2022 წლის განმავლობაში აქციონერებმა სააქციო კაპიტალში დამატებით შეიტანეს 500 519 ლარის შენატანი და მდგომარეობით 31.12.2022 წ. საწესდებო კაპიტალი იყო 2 331 525. პერიოდის ბოლოსთვის კომპანიის კაპიტალის წმინდა ღირებულება შეადგენდა 1 674 975 ლარი.

2023 წელს კომპანიამ განიცადა დამატებითი წმინდა ზარალი 963,046 ლარის ოდენობით, რომელიც წარმოდგენილია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მიმდინარე პერიოდის (მოგება)/ზარალის სახით. შესაბამისად, კომპანიის გაუნაწილებელმა მოგებამ 1 619 595 ლარი შეადგინა. 2023 წლის განმავლობაში აქციონერებმა საწესდებო კაპიტალში დამატებით შეიტანეს 2 199 798 ლარი და 31.12.2023 წლის საწესდებო კაპიტალმა შეადგინა 4 531 323 ლარი. პერიოდის ბოლოსთვის კომპანიის კაპიტალის წმინდა ღირებულება 2,911,728 ლარი იყო, ხოლო 2024 წლის ბოლოს 1,358,632 ლარი.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია შენატანები საწესდებო კაპიტალში 2024 და 2023 წლებში:

	2024	2023
სულ შეტანილი თანხა: ინვესტიციის ბალანსი პერიოდის ბოლოს	4,531,323	4,531,323

N12

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

<u>სავაჭრო და სხვა ვალდებულებები</u>	<u>12/31/2024</u>	<u>12/31/2023</u>
სავაჭრო ვალდებულებები	41,776	109,319
გადასახდელი ხელფასები	1,287	8,175
სხვა ვალდებულებები	25,741	44,442
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	68,805	161,937

შპს ლენდმარკ ჯორჯია. შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებაზე, ლარში

N13

საგადასახადო ვალდებულებები

<u>საგადასახადო ვალდებულებები</u>	<u>12/31/2024</u>	<u>12/31/2023</u>
გადასახდელი დღგ	23,670	43
გადასახდელი ქონების გადასახადი	7,269	4,887
სულ საგადასახადო ვალდებულებები	30,939	4,930

N14

შემოსავლები

<u>შემოსავალი გაყიდვებიდან</u>	<u>2024</u>	<u>2023</u>
ნეტ გაყიდვები-საკურ ბრაზერს თბილისი მოლი	378,984	696,605
ნეტ გაყიდვები-საკურ ბრაზერს სითი მოლი	1,148,094	1,201,152
ნეტ გაყიდვები-პიაცა იტალია თბილისი მოლი	824,260	680,529
ნეტ გაყიდვები-საკურ ბლუ ისთ ფონთი	217,333	
გაყიდული საქონლის დაბრუნება	(54,545)	(107)
სულ შემოსავალი გაყიდვებიდან	2,514,125	2,578,179

N15

გაყიდული საქონლის თვითღირებულება

<u>საქონლის თვითღირებულება</u>	<u>2024</u>	<u>2023</u>
გაყიდული საქონლის თვითღირებულება-საკურ ბრაზერს თბილისი მოლი	189,829	354,614
გაყიდული საქონლის თვითღირებულება-საკურ ბრაზერს სითი მოლი	536,414	598,296
გაყიდული საქონლის თვითღირებულება-პიაცა იტალია თბილისი მოლი	547,373	408,866
გაყიდული საქონლის თვითღირებულება-საკურ ბლუ ისთ ფონთი	102,145	
ჩამოწერები	7,176	26,464
სულ გაყიდული საქონლის თვითღირებულება	1,382,937	1,388,240

N16

გაყიდვის ხარჯები

<u>გაყიდვის ხარჯები</u>	<u>2024</u>	<u>2023</u>
მარკეტინგული ხარჯი	66,831	39,464
სულ გაყიდვის ხარჯები	66,831	39,464

N17

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

<u>საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი</u>	<u>2024</u>	<u>2023</u>
კერვასთან დაკავშირებული ხარჯი	60	490
იჯარა	829,029	570,132
შენობის მართვის ხარჯი- იჯარა	182,907	120,978
სურსათის (წყალი, ყავა) ხარჯი	8,193	4,532
ტრანსპორტირების ხარჯი	2,204	14,260
სამეურნეო ხარჯი	-	3,769
კომუნალური ხარჯი	43,042	37,645
დასუფთავების ხარჯი	21,108	12,887
საავტორო ლიცენზიის საფასური	2,178	985
კომუნიკაციის ხარჯი	21,512	15,717
ქონების დაზღვევის ხარჯი	8,717	5,388
ჯანმრთელობის დაზღვევის ხარჯი	22,708	15,061
საკონსულტაციო მომსახურება	-	1,976
საკანცელარიო და საოფისე ხარჯი	2,889	3,366
აიტი მომსახურება	10,007	-
საექსპლოატაციო ხარჯი	4,145	4,712
იურიდიული ხარჯი	4,154	6,805
ბუღალტრული მომსახურება	9,227	21,382
ბანკის საკომისიო	46,922	50,785
საშემოსავლო გადასახადი	-	3,227
მოგების გადასახადი	1,486	1,064
ქონების გადასახადი	7,268	4,887
პერსონალის მართვის ხარჯი	267	1,529
ტექნიკური მომსახურების ხარჯი	5,085	7,947
შრომის უსაფრთხოების ხარჯი	4,068	4,707
წარმომადგენლობითი ხარჯი	-	36,482
კომპიუტერული მომსახურების ხარჯი	-	1,197
აუდიტის მომსახურების საფასური	15,669	11,817
თარგმანის ხარჯი	240	480
ტრენინგებისა და კურსების ხარჯი	-	-
ნოტარიუსის მომსახურება	4,549	11,336
მივლინების ხარჯი	52,284	86,994
შესაფუთი მასალები	18,962	30,975
საწყობის/მარაგების ხარჯები	802	
სხვა საოპერაციო ხარჯები	12,970	5,677
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	1,342,652	1,099,191

შპს ლენდმარკ ჯორჯია. შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებაზე, ლარში

N18

ხელფასი და სხვა სარგებელი

<u>ხელფასი და სხვა სარგებელი</u>	<u>2024</u>	<u>2023</u>
შრომის ანაზღაურება	1,011,994	798,361
	1,011,994	798,361

N19

საკურსო სხვაობა

<u>საკურსო სხვაობა</u>	<u>2024</u>	<u>2023</u>
მოგება საკურსო სხვაობიდან	(184,276)	(5,229)
ზარალი საკურსო სხვაობიდან	215,134	84,671
სულ საკურსო სხვაობა	30,858	79,442

N20

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი

<u>სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი</u>	<u>2024</u>	<u>2023</u>
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	15,473	55,863
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(24,832)	(4,256)
უსასყიდლო მიწოდების დაბეგვრა დასაქმებულებზე- შემოსავალი		5,479
უსასყიდლო მიწოდების დაბეგვრა დასაქმებულებზე- ხარჯი		(17,309)
სულ არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	(9,359)	39,777

21. გაუთვალისწინებელი გარემოებები და პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციასა და ცვლილებებს, რომლებიც ხშირად ხდება. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის ინტერპრეტაციასა და საგადასახადო შემოწმებების პროცესში შესაძლოა უფრო მკაცრ და დახვეწილ მიდგომას მიმართავდნენ, თუმცა მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო პოზიციები დაცული იქნება.

22. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვის ფუნქცია მოიცავს ფინანსურ, ოპერაციულ და იურიდიულ რისკებს.

ფინანსური რისკები მოიცავს საბაზრო რისკს (რომელშიც შედის ვალუტის რისკი, საპროცენტო რისკი და სხვა ფასობრივი რისკები), საკრედიტო რისკსა და ლიკვიდურობის რისკს.

შპს ლენდმარკ ჯორჯია. შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებაზე, ლარში

ფინანსური რისკების მართვის ძირითადი მიზანია რისკების ლიმიტების დადგენა და შემდგომ უზრუნველყოფა იმისა, რომ კომპანიის რისკების ზეგავლენა დარჩეს ამ ლიმიტების ფარგლებში.

ოპერაციული და იურიდიული რისკების მართვის ფუნქცია მიმართულია შიდა პოლიტიკებისა და პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფისკენ, რათა მინიმუმამდე შემცირდეს ოპერაციული და იურიდიული რისკები.

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან (ა) უცხოურ ვალუტაში, (ბ) პროცენტის შემცველ აქტივებსა და ვალდებულებებში და (გ) კაპიტალის პროდუქტებში, რომლებიც ექვემდებარება ზოგად და კონკრეტულ ბაზრის მოძრაობებს. მენეჯმენტი აწესებს ლიმიტებს რისკის ღირებულების შესახებ, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნეს, რაც ყოველდღიურად კონტროლდება. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება ხელს არ უშლის დანაკარგებს ამ ლიმიტების მიღმა ბაზრის უფრო მნიშვნელოვანი მოძრაობების შემთხვევაში. ქვემოთ მოყვანილი საბაზრო რისკების მიმართ სენსიტიურობა ეფუძნება ფაქტორების ცვლილებას, ხოლო ყველა სხვა ფაქტორს უცვლელად. პრაქტიკაში ეს ნაკლებად სავარაუდოა და ზოგიერთი ფაქტორის ცვლილება შეიძლება იყოს კორელაციური - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთების ცვლილება და უცხოური ვალუტის განაკვეთების ცვლილება.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიის ფინანსურ შედეგებზე უარყოფით ზეგავლენას მოახდენს სავალუტო კურსების ცვლილებები, რომლებსაც კომპანია ექვემდებარება. კომპანია ახორციელებს გარკვეულ ოპერაციებს უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს უცხოური ვალუტის რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის ხელმძღვანელობა ცდილობს შეამსუბუქოს ასეთი რისკი კომპანიის ღონეზე ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების უცხოურ ვალუტაში მართვის გზით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უცხოური სავალუტო რისკის სტრუქტურა 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

2024	USD	Euro	AED	GEL	Total:
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ექვივალენტები	1,112	30	808	30,627	32,577
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები				137,557	137,557
სულ ფინანსური აქტივები	1,112	30	808	168,184	170,134
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13,336			55,468	68,805
სულ ფინანსური ვალდებულებები	13,336	-	-	55,468	68,805
წმინდა პოზიცია	(12,224)	30	808	112,716	101,329

შპს ლენდმარკ ჯორჯია. შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებაზე, ლარში

2023	USD	Euro	AED	GEL	Total:
ფინანსური აქტივები					-
ფული და ფულის ექვივალენტები	-	-	-	1,265,816	1,265,816
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	87,766	-	-	181,101	268,867
სულ ფინანსური აქტივები	87,766	-	-	1,446,917	1,534,683
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7,487	-	-	154,450	161,937
სულ ფინანსური ვალდებულებები	7,487	-	-	154,450	161,937
					-
წმინდა პოზიცია	80,279	-	-	1,292,467	1,372,746

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ პირს ექმნება სირთულეები ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში. კომპანია ექვემდებარება ყოველდღიურ მოხმარებას მის ხელმისაწვდომ ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიურ პროგნოზებს. კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ნაღდ ფულს და ფულადი სახსრების ექვივალენტებს. მენეჯმენტის შეფასებით, ნაღდი ფულის და საბანკო დეპოზიტების ლიკვიდურობის პორტფელი, გარდა შეზღუდული ფულადი სახსრებისა, შეიძლება განხორციელდეს ნაღდი ფულით ერთი დღის განმავლობაში გაუთვალისწინებელი ლიკვიდობის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მათი დარჩენილი სახელშეკრულებო ვადის მიხედვით. ვადების ცხრილში წარმოდგენილი თანხები არის სახელშეკრულებო არადისკონტირებული ფულადი ნაკადები. ასეთი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეტანილი თანხისგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თანხა ეფუძნება დისკონტირებულ ფულადი ნაკადებს. უცხოურ ვალუტაში გადახდები გადარიცხულია საანგარიშო პერიოდის ბოლოს სპოტ კურსით.

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

შპს ლენდმარკ ჯორჯია. შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებაზე, ლარში

2024	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5-ზე მეტი წელი	სულ:
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	32,577	-	-	32,577
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	137,557	-	-	137,557
სულ ფინანსური აქტივები	170,134	-	-	170,134
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	68,805	-	-	68,805
სულ ფინანსური ვალდებულებები	68,805	-	-	68,805
წმინდა პოზიცია	101,329	-	-	101,329

2023	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5-ზე მეტი წელი	სულ:
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	1,265,816	-	-	1,265,816
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	268,867	-	-	268,867
სულ ფინანსური აქტივები	1,534,683	-	-	1,534,683
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	161,937	-	-	161,937
სულ ფინანსური ვალდებულებები	161,937	-	-	161,937
წმინდა პოზიცია	1,372,746	-	-	1,372,746

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას ახორციელებენ კომპანიის მფლობელები მათი მოთხოვნების შესაბამისად კომპანიის კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია მართავს თავის კაპიტალის სტრუქტურას მხოლოდ იურიდიული მოთხოვნების შესაბამისად იმ იურისდიქციებში, სადაც კომპანია ოპერირებს.

23. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის ოდენობით, რომელიც შეიძლება გადაიცეს/რეალიზდეს ფინანსური ინსტრუმენტით მიმდინარე გადახდაში ორ ნებაყოფლობით მხარეს შორის ხელგაშლილობის პრინციპზე დაფუძნებული ინსტრუმენტი. გარდა ტრანზაქციის ლიკვიდაციის ან გაყიდვისა.

შპს ლენდმარკ ჯორჯია. შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებაზე, ლარში

შესაბამისად, ქვემოთ ნაჩვენები შეფასებები სულაც არ მიუთითებს თანხაზე, რომელიც კომპანიას შეუძლია მიიღოს ნებისმიერი ფინანსური ინსტრუმენტის ბაზარზე მისი აქტივების სრული რეალიზაციის შემთხვევაში.

კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი და საბალანსო ღირებულების შედარება ნაჩვენებია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

	31-Dec-24		31-Dec-23	
	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	137,557	137,557	268,867	268,867
გადახდილი ავანსები	-	-	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	68,805	68,805	161,937	161,937

24. მიმდინარე საქმიანობა

ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადდა მიმდინარე საქმიანობის პრინციპის საფუძველზე, რაც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას კომპანიის ნორმალური საქმიანობის ფარგლებში.

ანგარიშგების პერიოდებში კომპანიას აქვს უარყოფითი EBITDA, ასევე წმინდა მოგება. მენეჯმენტი გეგმავს რებრენდიგს და მომგებიანი ფილიალების გაძლიერებას, რომ მიმდინარე საქმიანობასთან დაკავშირებული პრობლემები შემცირდეს.

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი:

მოჰანად აღსამიერ



ფინანსური დირექტორი:

თამარ ყაჯრიშვილი